საიდ. №72811/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №179-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა გაიანე სარგსიანის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №179-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის №1011/03 ბრძანების ბათილად ცნობა სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „РУССКИЙ ГРАФИН” (საიდ. №72811/03) დაცვის მინიჭება საქართველოში 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელი, რომელიც წარმოებულია რუსეთში” (33-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის №1011/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "РУССКИЙ ГРАФИН" შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, ვინაიდან განმცხადებელი სომხეთის მოქალაქეა, ხოლო წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ აღნიშვნას "РУССКИЙ", რაც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის საქონლის გოეგრაფიული წარმოშობის მიმართ, რის გამოც სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი გაიანე სარგსიანი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშნის რეგისტრაციაზე უარი განაპირობა ექსპერტიზის დასკვნამ, სადაც მითითებულია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ განმცხადებელი არის სომხეთის მოქალაქე, ხოლო სარეგისტრაცუიოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ აღნიშვნას „РУССКИЙ", რაც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ. აპელანტის პოზიციით, იგი ზღუდავს 33-ე კლასის საქონლის განცხადებულ ჩამონათვალს და ითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირებას 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელი, რომელიც წარმოებულია რუსეთში". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის №1011/03 ბრძანების ბათილად ცნობას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „РУССКИЙ ГРАФИН" (საიდ. №72811/03) დაცვის მინიჭებას საქართველოში 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელი, რომელიც

წარმოებულია რუსეთში”.

აპელანტ გაიანე სარგსიანს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის დროისა და ადგილის შესახებ, სხდომაზე არ გამოცხადდა.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ”.

კოლეგია იზიარებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და მიაჩნია, რომ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აპელანტმა შეზღუდა 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, შემდეგზე „ალკოჰოლური სასმელი, რომელიც წარმოებულია რუსეთში”, მაშინ განცხადებული ნიშანი „РУССКИЙ ГРАФИН” (საიდ. №72811/03) აღარ იქნება შეცდომაში შემყვანი საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი სომხეთის მოქალაქეა, რადგან საქონლის ჩამონათვალში პირდაპირ არის მითითებული საქონლის რუსული წარმომავლობის შესახებ. ამასთან, სასაქონლო ნიშანი „РУССКИЙ ГРАФИН” (საიდ. №72811/03) უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „РУССКИЙ” სასაქონლო ნიშანში უნდა შევიდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „РУССКИЙ ГРАФИН” (საიდ. №72811/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გაიანე სარგსიანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის №1011/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „РУССКИЙ ГРАФИН” (საიდ. №72811/03) დარეგისტრირდეს მთლიანობში სიტყვიერი აღნიშვნისათვის „РУССКИЙ” დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელი, რომელიც წარმოებულია რუსეთში”.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ეგუტია

წევრები: დ. ჭიჭინაძე

მ. ბაკურაძე